NORTON ROSE FULBRIGHT

27 იანვარი, 2015 წ.

Norton Rose Fulbright LLP
3 More London Riverside
SE1 2AQ, ლონდონი
გაერთიანებული სამეფო
ტელ. +44 20 7283 6000
ფაქსი: +44 20 7283 6500
DX 85, ლონდონი
nortonrosefulbright.com

პირდაპირი ხაზი:
+44 (0) 20 7444 3822

ელ. ფოსტა:

Chris.brown@nortonrosefulbright.com

ირმა ქავთარაძეს
საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო
ჭანტურიას ქ. # 12
0108 თბილისი
საქართველო

თქვენი ნომერი ჩვენი ნომერი

ძვირფასო ბატონებო,

ანაკლიის ღრმა წყლოვანი პორტის პროექტი: რეკომენდაცია საინვესტიციო ხელშეკრულების პროექტსა და მის დანართებზე

მადლობას მოგახსენებთ თქვენი მითითებებისთვის ამ საკითხთან დაკავშირებით.

მე ახლა გწერთ, რათა განვსაზღვროთ ის საფუძველი, რომელზე დაყრდნობითაც ჩვენ შევთანხმდით, რომ საკონტრაქტო მხარე (და სადაც შეესაბამება, Norton Rose Fulbright-ის სხვა შემადგენელი ნაწილები) რეკომენდაციას გაუწევს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (MoESD-ს) ანაკლიის ღრმა წყლოვანი პროექტის ირგვლივ და მოგაწოდებთ გარკვეულ ინფორმაციას, რასაც ითხოვს ჩვენი პროფესიონალური ორგანო, ინგლისისა და უელსის ადვოკატთა მარეგულირებელი დეპარტამენტი. შედეგად, ამ შეთანხმების პირობები მოიცავს იმ პირობებს, რომლებიც, შესაძლოა, ერთი შეხედვით არსებითი არ ჩანდეს, მაგრამ მე ვალდებული ვარ მათზე გავამახვილო თქვენი ყურადღება შესაბამისი ნორმების თანახმად.

მე თან ვურთავ Norton Rose Fulbright-ის შეთანხმების სტანდარტულ პირობებსა და დამატებით პირობებს, რაც ეხება ამ ვალდებულებას, და ორივე მათგანი უნდა განიხილებოდეს ისე, როგორც ამ წერილშია მოცემული.

ნანა მჭედლიშვილი

შპს „ჯი ემ ჯი ცენტრი" - ტელ. + 995 557 501 000, ელ. ფოსტა: office@gmgcentre.ge

1. სამუშაოების მოცულობა და შემადგენლობა

1.1 სამუშაოების ის მოცულობა, რომლის შესრულებაზეც ჩვენ შევთანხმდით და აღებული ვალდებულებები, რომლებსაც იგი ეყრდნობა, მოცემულია ამ წერილის გრაფიკში.

1.2 სხვაგვარად შეთანხმებული შემთხვევების გარდა, ჩვენი რეკომენდაციები და მოქმედება იქნება მხოლოდ ინლისური კანონმდებლობის შესაბამისი და პასუხისმგებელი არ ვიქნებით რეკომენდაციებზე რაიმე საქმის ან დოკუმენტის ირგვლივ ან მათი აღსრულების გამო, რომლებიც შესაძლოა დაექვემდებაროს ან იმართოს ნებისმიერი სხვა იურისდიქციის კანონებით.

1.3 ადვოკატის/კლიენტის ურთიერთობა არის ჩვენს შორის და სიფრთხილის დაცვის ვალდებულება ჩვენ გვაქვს თქვენს მიმართ. ჩვენს მიერ (ან Norton Rose Group-ის ნებისმიერი შემადგენელი ნაწილის მიერ) მოცემული ნებისმიერი რჩევა ეხება მხოლოდ ამ საქმეს და არის მხოლოდ თქვენს სასარგებლოდ. თუ წერილობით სხვაგვარად არ შევთანხმდით, ჩვენი რეკომენდაცია არ ვრცელდება მესამე მხარეზე და მას არ შეუძლია ამ რეკომენდაციით სარგებლობა, აქ იგულისხმება თქვენი დირექტორები და თანამშრომლები კერძო პირების სტატუსით.

1.4 ჩვენ გვექნება უფლებამოსილება მივიღოთ ინსტრუქციები MoESD-ის მრიდან ირმა ქავთარაძისგან და თქვენს მიერ განსაზღვრული სხვა პირებისგან (თუმცა, ყოველდღიური მითითებების მოცემა შეუძლიათ MoESD-ის სხვა წევრებს) და მივიჩნიოთ, რომ ყველა მათგანს აქვს სათანადო უფლებამოსილება MoESD-ის სახელით ამ ინსტრუქციების გაცემისა.

BD-#22633542-v1
Norton Rose Fulbright LLP არის შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, რეგისტრირებული ინგლისსა და უელსში ნომრით OC328697, და ავტორიზებულია და იმართება ადვოკატთა მარეგულირებელი დეპარტამენტის მიერ. მისი წევრებისა და სხვა პარტნიორების ჩამონათვალი მოცემულია რეგისტრირებულ მისამართზე: 3 More London Riverside, London SE1 2 AQ; პარტნიორში იგულისხმება Norton Rose Fulbright LLP-ის ან მისი ფილიალის მიერ დასაქმებული ან აყვანილი კომპანიის წევრი ან თანამშრომელი ან კონსულტანტი თანაბარი სტატუსითა და კვალიფიკაციით.
Norton Rose Fulbright LLP, Norton Rose Fulbright Australia, Norton Rose Fulbright Canada LLP, Norton Rose Fulbright South Africa Inc და Norton Rose Fulbright US LLP არის დამოუკიდებელი იურიდიული პირები და ყველა მათგანი არის Norton Rose Fulbright Verein-ის, შვეიცარული ასოციაციის წევრი. Norton Rose Fulbright Verein ეხმარება მის წევრებს მოქმედების კოორდინირებაში, მაგრამ თავად კლიენტებს არ უწევს იურიდიულ მომსახურებას. თითეული პირის შესახებ დეტალი, გარკვეული სარეგულაციო ინფორმაციით, მოცემულია ვებ-საიტზე nortonrosefulbright.com.

2. ჩვენი გუნდი

2.1 პასუხისმგებელი პარტნიორი ამ საქმეში ვიქნები მე და ჩვენი გუნდის სხვა მთავარი წევრების სახელები მოცემულია ქვემოთ:

შპს „ჯი ემ ჯი ცენტრი" - ტელ. + 995 557 501 000, ელ. ფოსტა: office@gmgcentre.ge

სახელი	პოზიცია
ენდრიუ ბუისონი	პარტნიორი
ანჟელიკა ფილიპსი	პარტნიორი
დევიდ კარტერი	კომპანიონი

2.2 ამის გარდა, ჩვენ ჩავრთავთ სხვა კომპანიონებს, სტაჟიორებსა და პრაქტიკანტებს საჭიროებისამებრ იმგვარად, რომ შეძლებისდაგვარად თავიდან ავიცილოთ ძალისხმევის განმეორება.

2.3 ჩვენს მიზანს ყოველთვის წარმოადგენს გუნდის წევრების ცვლილების თავის არიდება, მაგრამ თუ ეს შეუძლებელია, ჩვენ დაუყოვნებლივ გაცნობებთ ამგვარი ცვლილებისა და მისი გამომწვევი მიზეზების შესახებ. შესასრულებელი სამუშაოსთვის ჩვენ ყოველთვის გამოვიყენებთ შესაბამისი დონის იურიუდიული სტაჟის მქონე პერსონალს.

2.4 თუ საჭირო გახდა, თქვენ გექნებათ წვდომა Norton Rose Fulbright LLP-ის სხვა სპეციალისტებზე. ასეთი სპეციალისტების გამოყენება შესაძლებელია თქვენი წინასწარი თანხმობით მხოლოდ იმ სამუშაოსთვის, რაც სცდება ამ ხელშეკრულების სამუშაოების მოცულობასა და შემადგენლობას.

3. გადასახადები და დანახარჯები

3.1 ჩვენი ფიქსირებული ჰონორარი გრაფიკში მოცემული სამუშაოს მოცულობისთვის შეადგენს ჯამში მაქსიმუმ 30,000 აშშ დოლარს (დღგ-სა და ხარჯების გარდა). ეს ფიქსირებული გასამრჯელო ეფუძნება გრაფიკში მოცემულ ვალდებულებებს და თუ ჩვენ მუშაობა მოგვიწევს სამუშაოს მოცულობისა ან ამ ვალდებულებების ფარგლებს გარეთ, მაშინ ფიქსირებული ჰონორარი შესაძლოა გაიზარდოს. მოცემული ფიქსირებული ჰონორარი შეიცავს Norton Rose Fulbright-ის ორი წარმომადგენლის ხარჯებს, რომლებიც თბილისში უნდა ჩამოვიდნენ 2 დღიან შეხვედრისთვის.

3.2 ამასთანავე, ჩვენთვის ასანაზღაურებელი იქნება ნებისმიერი სამომავლო ხარჯი (მათ შორის, მგზავრობისა და ბინის) ჩვენი სტანდარტული პოლიტიკის თანახმად (რაც შეგვიძლია მოთხოვნისამებრ წარმოგიდგინოთ) 3,000 აშშ დოლარის მაქსიმალური ოდენობით.

4. ინვოისირება და ანგარიშგება

4.1 ინვოისს გამოვწერთ 2015 წლის 20 თებერვალს.

ნანა მჭედლიშვილი

შპს „ჯი ემ ჯი ცენტრი" - ტელ.: + 995 557 501 000, ელ. ფოსტა: office@gmgcentre.ge

4.2 ჩვენს ინვოისში მოცემული იქნება თითეული იურისტის მიერ დახარჯული დრო, წარმოქმნილ დანახარჯებთან ერთად.

4.3 ინვოისი გადახდილი უნდა იყოს მისი მიღებიდან 30 დღის მანძილზე, და ჩვენ შეგვიძლია შევაჩეროთ მომსახურება და შევწყვიტოთ მოქმედება, თუ არ მივიღებთ ინვოისით გადასახდელ თანხას დადგენილ ვადაში.

4.4 რეგულარული ინტერვალებით ჩვენ მოგაწვდით ანგარიშს საქმის მსვლელობის შესახებ. ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია ანგარიშის მოწოდება მოთხოვნისთანავე.

4.5 ჩვენ შეგატყობინებთ საქმეში მოულოდნელად წარმოშობილი დაყოვნებისა თუ გართულების შესახებ ან ჩვენს მიერ საქმის ბუნებასა თუ მოცულობაში შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებების შესახებ.

5. რეკომენდაციისა და მომსახურებების პასუხისმგებლობა

5.1 Norton Rose Group წარმოადგენს საერთაშორისო იურიდიული მომსახურების პროვაიდერს, რომელიც თავის ბიზნესს აწარმოებს დამოუკიდებელი შემადგებელი ნაწილების საშუალებით მთელ რიგ იურისდიქციებში. თითოეულ იურისდიქციაში კლიენტი კონტრაქტს დებს Norton Rose Group-ის კონკრეტულ შემადგენელ ნაწილთან და მხოლოდ ეს კონკრეტული შემადგენელი ნაწილი აგებს პასუხს ამ კლიენტის მიმართ გაწეულ რეკომენდაციასა თუ მომსახურებაზე და Norton Rose Group-ის არც ერთ სხვა შემადგენელ ნაწილს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ამ რეკომენდაციასა თუ მომსახურებაზე. Norton Rose Group-ის ზოგიერთ შემადგენელ წევრს აქვს შეზღუდული პასუხისმგებლობა, რომელთა შორისაა Norton Rose Fulbright LLP. Norton Rose Group-ის რომელიმე შემადგენელი ნაწილის სახელი, რომელიც მომსახურებას ეწევა რომელიმე კონკრეტულ იურისდიქციაში, შეიძლება გაიცეს მოთხოვნის მიხედვით. ამ წერილთან დაკავშირებული საქმის ირგვლივ თქვენ კონტრაქტს დებთ მხოლოდ Norton Rose Fulbright LLP-სთან.

5.2 ამ წერილით გათვალისწინებული რეკომენდაცია და მომსახურებები უზრუნველყოფილი იქნება Norton Rose Fulbright LLP-ის მიერ (ან Norton Rose Group-ის რომელიმე შემადგენელი ნაწილის მიერ, რომელსაც სამუშაოს მიაწერს Norton Rose Fulbright LLP), მაგრამ მხოლოდ Norton Rose Fulbright LLP (როგორც საკონტრაქტო მხარე) იქნება პასუხისმგებელი რეკომენდაციის ან მომსახურების უზრუნველყოფაზე. Norton Rose Group-ის არც ერთი სხვა შემადგენელი ნაწილი, ან პირი, რომელიც არის Norton Rose Fulbright LLP-ის წევრი, პარტნიორი, აქციონერი, თანამშრომელი ან კონსულტანტი, ან Norton Rose Group-ის

ბაკურ ბურდული, ალექსანდრე ბურდული, ალექსანდრე ბურდული
+ 995 557 501 000 ელ. ფოსტა: office@gmgcentre.ge

ნანა მჭედლიშვილი

სხვა შემადგენელი ნაწილი არ იღებს პასუხისმგებლობას ან ვალდებულებას თქვენს ან მესამე მხარის წინაშე ამ შეთანხმებით ნაკისრი პირობებით გასაწევი რეკომენდაციისა თუ მომსახურების გამო.

5.3 ტერმინი „პარტნიორი“ არის წოდება და ის პირები, რომლებიც ამ ტერმინით არიან მოხსენიებული, წარმოადგენენ Norton Rose Fulbright LLP-ის ან Norton Rose Group-ის რომელიმე შემადგენელი ნაწილის წევრებს, პარტნიორებს ან აქციონერებს ან ექვივალენტური სამუშაო სტაჟის მქონე თანამშრომლებს ან კონსულტანტებს.

6. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

6.1 შეთანხმების დამატებითი პირობების (ლონდონი) მე-5 პუნქტის წესების დაურღვევლად:

ა) იმის მიუხედავად თუ Norton Rose Fulbright-ის რომელი შემადგენელი ნაწილი უზრუნველყოფს რეკომენდაციას ან მომსახურებას ამ წერილის შესაბამისად ან მის მიხედვით, ჩვენი მთლიანი ვალდებულება თქვენს წინაშე, მათ შორის იურიდიული და სხვა სახის ჰონორარები, დანახარჯების ვალდებულებები, ამ საქმესთან დაკავშირებულ ყველა მოთხოვნასთან მიმართებით, შეზღუდულია იმ ოდენობით, რომლის გადახდაც ხდება ჩვენი პროფესიული საგარანტიო სადაზღვევო პოლისით შესაბამის მოთხოვნასთან მიმართებაში, ამას დამატებული პოლისით გათვალისწინებული გადაჭარბებული ოდენობა; და

ბ) არანაირი ვალდებულება არ წარმოიქმნება რომელიმე ასეთი მოთხოვნის გამო თუ თვენ წერილობით არ შეგვატყობინებთ ამ მოთხოვნის შესახებ, სადაც თქვენ დეტალურად უნდა აღწეროთ მოთხოვნის (პრეტენზიის) ბუნება და თქვენს მიერ მოთხოვნილი თანხის საუკეთესო შეფასება.

6.2 თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებას მივაპყრობ შეთანხმების სტანდარტული პირობების მე-2 პუნქტს და ჩვენი ვალდებულებების გარკვეულ გამონაკლისებსა და შეზღუდვებს, რომლებიც ძირითადად მოცემულია შეთანხმების დამატებითი პირობების (ლონდონი) მე-5 პუნქტში. შესაბამისობის მიხედვით, ეს წესები მიესადაგება მოცემულ შეთანხმებას.

მე მწამს, რომ თქვენთვის დამაკმაყოფილებელი იქნება შეთანხმების ეს პირობები. მე მადლობელი ვიქნები თუ თანდართული წერილის ასლს ხელს მოაწერთ და დამიბრუნებთ იმის აღსანიშნად, რომ თქვენ აღიარებთ და ეთანხმებით ამ შეთანხმების პირობებს.

ნანა [illegible]

შპს „ჯი ემ ჯი ცენტრი" - ტელ. + 995 557 501 000, ელ. ფოსტა: office@gmgcentre.ge

პატივისცემით,

კრის ბრაუნი

Norton Rose Fulbright LLP
პარტნიორი

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელით

ჩვენ ვეთანხმებით თქვენი წერილის (თარიღი-------------) პირობებს, რომლის ასლსაც ზემოთმოცემული დოკუმენტი წარმოადგენს.

ხელს აწერს: ------------------------

სახელი და პოზიცია (ბეჭდური ფორმით): დიმიტრი ქუმსიშვილი,
მინისტრის პირველი მოადგილე

თარიღი: 27 იანვარი, 2015

შპს „ჯი ემ ჯი ცენტრი" - ტელ. + 995 557 501 000, ელ. ფოსტა: office@gmgcentre.ge

გრაფიკი 1

სამუშაოს მოცულობა და ნაკისრი ვალდებულებები

ჩვენზე დაკისრებული სამუშაოების მოცულობა და შემადგენლობა არის შემდეგი:

1. საინვესტიციო ხელშეკრულების პროექტსა და მის დანართებზე მუშაობა, რაც მოიცავს და არ იზღუდება შემდეგით:

   ა) ახსნა-განმარტებებისა და რეკომენდაციების მიცემა საინვესტიციო ხელშეკრულების პროექტისა და მისი დანართების ძირითად პირობებზე/საკითხებზე;

   ბ) საინვესტიციო ხელშეკრულების განხილვა და დასრულება ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან; და

   გ) საინვესტიციო ხელშეკრულების პროექტის პირობების ირგვლივ სამინისტროს კითხვებზე, კომენტარებსა და საკითხებზე პასუხის გაცემა და ახსნა-განმარტების უზრუნველყოფა, საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით.

ვალდებულებები:

1. ჩვენი სამუშაო დასრულდება 2015 წლის 20 თებერვლისთვის.
2. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო უზრუნველყოფს თავად ან მესამე მხარის ექსპერტების გამოყენებით საინვესტიციო ხელშეკრულებისა და მისი დანართების რომელიმე ტექნიკური ნაწილის დასრულებას.

შპს „ჯი ემ ჯი ცენტრი" - ტელ. + 995 557 501 000, ელ. ფოსტა: office@gmgcentre.ge

მეჯერიული და დანომრილია
ნოტარიუსი:

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N150139468
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	13.02.2015 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ციური ბერიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2-23-08-90.
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	34664431593915

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

Регистрационный номер в Реестре
Registration number in the Register № 150139468
Georgia, Tbilisi, Chavchavadze ave
Я, нотариус г. Тбилиси Циури Беридзе, удостоверяю подлинность подписи переводчика
I, the notary of city Tbilisi Tsiuri Beridze, certify authenticity of the signature of translator